31/08/2026

MES 0 26 0001114802

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.08.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 14:40 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (II და V საკითხები)
საბჭოს მდივანი: ქეთევან აფთარაშვილი (I, III, IV, VI, VII და VIII საკითხები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4. ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

6. მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;
7. მარინე რუხაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11. ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. ინგა დიასამიძე – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ავთანდილ თავხელიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის" (ლაბორატორია) დირექტორი;
14. მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
15. ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
16. თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
17. თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
18. თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
19. ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20. გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
21. ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
22. თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
23. დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანა კავლელაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
სოფიკო გრიგოლაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემია

- სოფიო აბულაშვილი - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის რექტორი;
- თეა სამჭკუაშვილი - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის რექტორის პირველი მოადგილე;
- ალექსანდრე შამათავა - სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის ადმინისტრაციის მთავარი სამმართველოს უფროსი

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

- კახა შენგელია - შპს კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი;
- დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მარიამ ოქრუაშვილი - კავკასიის მედიცინის სკოლის დეკანი;

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტქნიკური უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თალიკო ჟვანია - ინფორმტიკისა და მათვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
- თინათინ კაიშაური - ინფორმტიკისა და მათვის სისტემების ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ირინა გოცირიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

- თეიმურაზ სარიშვილი - პროფესორი, „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძაღვანელი;
- გიორგი იაშვილი - პროფესორი, დიზაინის ფაკულტეტის დეკანი;
- ნინო მგალობლიშვილი - პროფესორი, დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

„გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამა:

- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თეონა შუშტაკაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
- ქეთევან გივიშვილი - ანალიტიკისა და ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი;
- ნათია კალაძე - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
- ნანა ბურდული - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო აბუსერიძე - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

„სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- თეონა შუშტაკაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
- ქეთევან გივიშვილი - ანალიტიკისა და ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი;
- საიდ საჰმანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მარინა გეჯუა - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
- თეა ხორგუაშვილი -ფაკულტეტის დეკანი;
- მაია აზმაიფარაშვილი - ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო ორჯონიკიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

აკრედიტაციის ექსპერტები:

- ია მოსაშვილი (I საკითხი);
- ანჟელა აბულაძე (I საკითხი);
- თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი);
- თინათის გაბრიჩიძე (I საკითხი);
- ლეილა გრიგოლია (II, III საკითხ საკითხები);
- თამთა თურმანიძე (II,III საკითხები);
- ნათია ღაჭავა (IV საკითხი);
- ირმა ღარიბაშვილი (V საკითხი);
- ეკა ლეკაშვილი (VII საკითხი);
- ნინო დევიძე (VII საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის „სახელმწიფო უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" შესაბამისობის დადგენის პროცესი).
5. შპს – საქართველოს უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს – საქართველოს უნივერსიტეტის „გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" შესაბამისობის დადგენის პროცესი);
7. სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ 2026 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე, საბჭოს დღის წესრიგის მიხედვით, განსახილველად გამოტანილი იყო შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებით, საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომაზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი, შესაძლებელია განხილულიყო 14 აგვისტოს სხდომაზე მეორე საკითხად.

საბჭომ მხარი დაუჭირა ცვლილებას.
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის „სახელმწიფო უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" შესაბამისობის დადგენის პროცესი);

6. შპს – საქართველოს უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" შესაბამისობის დადგენის პროცესი);
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის პროცესი);
8. სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით.

პირველი საკითხი: სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის „სახელმწიფო უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სახელმწიფო უსაფრთხოება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სახელმწიფო უსაფრთხოების მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები 1039;
კრედიტების რაოდენობა: 60 კრედიტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოკრატის კაციკასმა, აღნიშნა, რომ ახალი პროგრამა კარგად არის შემუშავებული. ექსპერტებს, ერთი ფორმალური რეკომენდაციის გარდა, არანაირი შენიშვნა ან რეკომენდაცია არ ჰქონიათ. გაცემული რეკომენდაცია ეხება ანალიტიკური პროექტის მართვაში ჩართული პერსონალის კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი

ინფორმაციის მითითებას, რადგან აღნიშნული ინფორმაცია თვითშეფასების დოკუმენტში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია გარე წყაროებით დასტურდება, აუცილებელია მისი ასახვა შიდა წყაროებშიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს დამატებითი მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:21
დასრულების დრო: 11:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის „სახელმწიფო უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2030 წლის 31 დეკემბრამდე).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესბამისად, სსიპ – სახელმწიფო უსაფრთხოების აკადემიის „სახელმწიფო უსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

საბჭო სხდომა დატოვა გიორგი წანაწყენიშვილმა.
საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ ვაჟა კელიხაშვილი და პეტრე ბაბილუა.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საექთნო საქმე;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საექთნო საქმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0913 საექთნო და სამეანო საქმე;
კრედიტების რაოდენობა: 240 კრედიტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა კარევმა, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიცა 16 რეკომენდაცია. საერთო ჯამში, ექსპერტებმა განიხილეს პროგრამების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან, თუმცა გამოვლინდა გარკვეული სუსტი მხარეები. აღნიშნული საკითხები ძირითადად ეხებოდა პრაქტიკული საქმიანობის კომპონენტს, კვლევითი უნარების განვითარებასა და ინფრასტრუქტურას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ლაბორატორიული რესურსების გაუმჯობესების, სიმულაციური და კვლევითი რესურსების გაძლიერების, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული სპეციალურად გამოყოფილი ადამიანური რესურსების სათანადოდ უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. ამასთან, ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანია, აქტუალურია პროგრამის განხორციელებაში ჩართული თანამშრომლების მიერ ინგლისური ენის შესაბამისი დონის ცოდნის საკითხიც. რეკომენდაციების უმრავლესობა ეხებოდა პროგრამის სრულ ან ნაწილობრივ შესაბამისობას სტანდარტებთან. რეკომენდაციები ძირითადად მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით გაიცა.
ექსპერტმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ გაცემულია 16 რეკომენდაცია, რომლებიც ძირითადად ინფრასტრუქტურის საკითხებს მოიცავს. ვინაიდან პროგრამაზე სტუდენტების მიღება ჯერ არ განხორციელებულა, დაწესებულებამ არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და საჭიროებების შევსება უკვე დაიწყო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრმა თამარ ხურცილავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოენოვანი სტუდენტების მიღებას, თუმცა ექსპერტების მხრიდან დაფიქსირდა ენობრივი

ბარიერის საკითხი. მისი დაინტერესების საგანი იყო, რა გეგმა აქვს დაწესებულებას აღნიშნული საკითხის სწავლის დაწყებამდე მოსაგვარებლად, რათა ენობრივმა ბარიერმა გავლენა არ მოახდინოს სწავლების ხარისხზე.
ამასთან, თამარ ხურცილავამ აღნიშნა, რომ სხვადასხვა სილაბუსს სხვადასხვა ტიპის დახვეწა ესაჭიროება. მაგალითად, ერთ-ერთ სილაბუსში მითითებულია, რომ 2 საათი ეთმობა სალექციო მეცადინეობას, ხოლო 3 საათი - ლაბორატორიულ მუშაობას, თუმცა დეტალურად არ არის განმარტებული, რას მოიცავს ლაბორატორიული მუშაობა. ასევე, შეფასების კრიტერიუმები არ არის სათანადოდ ჩაშლილი, რაც სტუდენტისთვის შესაძლოა დამაბნეველი იყოს.
რაც შეეხება აღჭურვილობის საკითხს, თამარ ხურცილავამ აღნიშნა, რომ საექთნო საქმიანობა არსებითად მოიცავს პრაქტიკული და კლინიკური უნარების განვითარებას. თვითშეფასების დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების ადრეული ეტაპიდანვე განვითარებაზე. შესაბამისად, მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა დასკვნაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩანაწერი იყო გაკეთებული. ამასთან, დასკვნაში მითითებულია, რომ ის დაწესებულებები, რომლებშიც სტუდენტებმა პრაქტიკა უნდა გაიარონ, აღნიშნული პროცესის შესახებ ინფორმირებულები არ იყვნენ. შესაბამისად, თამარ ხურცილავას აინტერესებდა, რამდენად აქვთ აღნიშნულ დაწესებულებებს მზაობა სტუდენტების მისაღებად, თუ მათ შესაბამისი ინფორმაცია არ აქვთ.
დაწესებულების რექტორმა კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, რადგან ეს სახელმწიფოს მოთხოვნაა, რომელიც ამ ეტაპზე სრულად არ არის დაკმაყოფილებული. მისი თქმით, ბაზარზე ექთნებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები საკმაოდ იშვიათია.
დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი თებერვლის თვეში განხორციელდა და მას შემდეგ დაწესებულებაში ბევრი რამ შეიცვალა. ვიზიტის დროს, შეფასების პროცესში, დაწესებულებას ლაბორატორიები უკვე მომზადებული და შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეძენილი ჰქონდა, თუმცა იგი იმ მომენტში სრულად განთავსებული არ იყო. მისი თქმით, ინფრასტრუქტურა ადგილზე იყო და სასწავლო წლის დაწყებამდე ყველაფერი შესაბამის სივრცეებში განთავსდება.
რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციას, დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ პერსონალის აყვანისას დაწესებულებას განსაზღვრული პროცედურები აქვს, მათ შორის, საცდელი ლექციის ჩატარება. ინგლისურენოვანი პროგრამისთვის საცდელი ლექცია ინგლისურ ენაზე ტარდება. მისი ვარაუდით, შესაძლოა, ქართველი ექსპერტების ყოფნის გამო პერსონალმა ინგლისურ ენაზე საუბარი საჭიროდ არ ჩათვალა, თუმცა, მისი მოსაზრებით, ეს საკითხი ექსპერტების მხრიდან ადგილზე უნდა დაფიქსირებულიყო.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაწესებულებაში სივრცეების განვითარება დღემდე მიმდინარეობს და სწავლის დაწყებამდე მათი სრულად მოწყობა აუცილებლად დასრულდება. ცალკე სივრცეები ეწყობა საექთნო პრაქტიკისთვის და აღნიშნული რესურსი სრულად მოხმარდება ამ მიმართულებას.
რაც შეეხება კლინიკებს, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან, მარიამ ოქრუაშვილის განცხადებით, დაწესებულებას ყველა კლინიკასთან ინდივიდუალური ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებში დეტალურად არის გაწერილი სტუდენტთა რაოდენობა და მენტორების საკითხი. აღნიშნულ მენტორებთან ჩატარებულია გასაუბრება და საცდელი პრაქტიკა. მათ ასევე ჩაუტარდათ საცდელი ლექციები. მათი ენობრივი კომპეტენცია დადასტურებულია და მათ ინგლისურენოვან ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

რაც შეეხება სილაბუსებს, მარიამ ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ გარკვეული ქულობრივი აქტივობები და მათი დეტალური ჩაშლა სილაბუსებში არის გაწერილი და აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებისთვის აუცილებლად იქნება დეტალურად მიწოდებული.

საბჭოს წევრმა, თამარ ხურცილავამ აღნიშნა, რომ სილაბუსების ნაწილი და სამომავლო გეგმები საბჭოსთვის წინასწარ უნდა ყოფილიყო მიწოდებული, რადგან აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იკვეთება.

საბჭოს წარმომადგენელმა ეკატერინე ჩალაგანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლების ენად მითითებულია B1 დონე, თუმცა პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა „სოციალური ფსიქოლოგია", „ბიოქიმია", „ანატომია" და სხვა. მისი კითხვა ეხებოდა იმას, თუ როგორ შეძლებენ სტუდენტები აღნიშნული სასწავლო კურსების დაძლევას B1 დონის ინგლისური ენის ცოდნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ B1 დონე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არის მითითებული.

საბჭოს წევრმა თინათინ გოგნაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში საუბარია დაწესებულებაში ლაბორატორიების უკმარისობაზე და დაინტერესდა, კონკრეტულად რას გულისხმობდნენ ლაბორატორიულ მეცადინეობაში - უშუალოდ ბიოქიმიურ ცდებს თუ ანატომიის მიმართულებით პრაქტიკულ სამუშაოს. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სილაბუსებში ტერმინოლოგიის დაზუსტებაა საჭირო.
საბჭოს წევრმა თინათინ გოგნაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა შეფასების საკითხზე. მისი თქმით, რიგ სასწავლო კურსებში მიმდინარე შეფასებები წერით და ზეპირ კომპონენტებს მოიცავს, თუმცა დასკვნით გამოცდაში OSCE-ის კომპონენტია გათვალისწინებული. ამასთან, სტუდენტს მთელი სემესტრის განმავლობაში პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობა სათანადოდ არ აქვს, მაშინ როდესაც აღნიშნული კომპონენტი დასკვნით გამოცდაშია შეტანილი. ასევე, სილაბუსში მე-14 კვირაში მითითებულია OSCE-ის კომპონენტი, ხოლო მე-15-18 კვირებში - დასკვნითი გამოცდა, რაც გარკვეულ გაურკვევლობას იწვევს. თინათინ გოგნაძე ასევე დაინტერესდა, ვინ იქნებიან მენტორები და რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ ისინი.
ექსპერტთა ჯგუფის თამჯდომარემ ივანა კარევმა აღნიშნა, რომ სალექციო მუშაობისას თავდაპირველად გამოიყენება დამხმარე საშუალებებით სწავლება, შემდეგ კი ლაბორატორიებში მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობა, რომლის დროსაც სპეციალური მოწყობილობები გამოიყენება. საბოლოო ეტაპზე ხდება ქიმიური ნაერთების გამოყენება, რა დროსაც უსაფრთხოების ზომების განსაკუთრებით მკაცრი დაცვაა საჭირო. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივი შესაბამისობა სწორედ იმ მიზეზით განსაზღვრა, რომ ზოგიერთი ლაბორატორია სათანადოდ იყო აღჭურვილი, ხოლო ზოგიერთში ინვენტარისა და შესაბამისი აღჭურვილობის ნაკლებობა დაფიქსირდა. რაც შეეხება სილაბუსებს, ზოგიერთ სასწავლო კურსში პრაქტიკული მუშაობის ნაწილში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, იგულისხმება თუ არა ლაბორატორიული მუშაობა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ივანა კარევმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, მისასალმებელია უნივერსიტეტის მიღწევა და ძალისხმევა ლაბორატორიების აღჭურვის მიმართულებით, თუმცა შეფასების განხორციელების მომენტში შესაბამისი რესურსებით პროგრამა სრულად უზრუნველყოფილი არ იყო.
რაც შეეხება ენის საკითხს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ივანა კარევმა აღნიშნა, რომ სტუდენტების კლინიკებში გაგზავნა გათვალისწინებულია, თუმცა, თუ კლინიკებში საკმარისი რაოდენობის ინგლისურენოვანი მენტორი არ იქნება ხელმისაწვდომი, შესაძლოა, თარჯიმნის საჭიროებამ დამატებითი გაურკვევლობა წარმოშვას. სწორედ აღნიშნულ საკითხს უკავშირდება ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების პროცესში ინფრასტრუქტურის აღჭურვა ბოლომდე დასრულებული არ იყო. მისი თქმით, პროცესი დღემდე მიმდინარეობს და სწავლის დაწყებამდე ლაბორატორიები სრულად, 100%-ით იქნება აღჭურვილი. რაც შეეხება სხვა საკითხებს, სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა და, შესაბამისად, შესაბამისი პროცესებიც მისი დაწყების შემდეგ განვითარდება. დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა მენტორებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ უნდა ჰქონდეთ სამედიცინო განათლება და ისინი პასუხისმგებელნი იქნებიან სტუდენტების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. მისი თქმით, ანატომიის ლაბორატორიები სრულად არის აღჭურვილი და სწავლისთვის გამართული. ასევე არსებობს მიკრობიოლოგიისა და ქიმიის ლაბორატორიები, რომლებიც საჭირო ინვენტარით არის აღჭურვილი. რაც შეეხება ტერმინოლოგიას, დაწესებულება ითვალისწინებს აღნიშნულ შენიშვნას და თითოეულ საკითხს სილაბუსებში დეტალურად გაწერს. საბჭოს წევრი თინათინ გოგნაძე ასევე დაინტერესდა, რამდენი ექთანია ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში 15-ზე მეტი ექთანია ჩართული. საბჭოს წევრმა ლია სანოძემ აღნიშნა, რომ განხილვისას ხშირად ჟღერდა ფრაზები - „გვეყოლება", „იქნება" და ა.შ. მისი თქმით, თვითშეფასების დოკუმენტში არსებული მდგომარეობა აწმყო დროში უნდა იყოს ასახული. შესაბამისად, მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია გარკვეულწილად არ შეესაბამება არსებულ რეალობას.

დაწესებულების რექტორმა კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი თებერვალში განხორციელდა და ექვსი თვის განმავლობაში დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ის ხარვეზი, რომელიც ექსპერტთა პანელის მიერ იყო დაფიქსირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში არ ყოფილა მითითებული, თითქოს დაწესებულებას საერთოდ არ ჰქონდა ლაბორატორიები. საუბარი იყო მხოლოდ ერთ ლაბორატორიაზე, რომელიც იმ დროისთვის სრულად მოწყობილი არ იყო.

საბჭოს წევრმა ხათუნა ლომაურმა აღნიშნა, რომ ინვოისი ადასტურებს ქონების შეძენას, თუმცა საბჭოსთვის მნიშვნელოვანია სწავლების განხორციელებისთვის დაწესებულების მზაობა, რაზეც დასკვნაში შესაბამისი დადასტურება არ იკვეთება. მას აინტერესებდა, რატომ ვერ შეძლო დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შესაბამისი რესურსების სრულად მობილიზება. ამასთან, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 73 აკადემიური თანამდებობაა, თუმცა ასისტენტებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ასევე, დასკვნაში აღნიშნულია მენტორებთან ინტერვიუს პროცესში გარკვეული გაურკვევლობის არსებობა, რასთან დაკავშირებითაც მას საბჭოსთვის დაწესებულების პოზიციის მოსმენა აინტერესებდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ ინვოისები შეფასების დროსვე იყო წარმოდგენილი, თუმცა აღჭურვილობის ნაწილი გზაში იყო, ნაწილი კი ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ლაბორატორიებში ჯერ განთავსებული არ იყო. მისი თქმით, შეფასების დროს ყველა საჭირო რესურსი უკვე შეძენილი იყო და მათი ნაწილი განთავსებულიც გახლდათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში საექთნო საქმის ოთხი ოთახი უკვე სრულად იყო მოწყობილი და აღჭურვილი. აღნიშნული ოთახების მოწყობას დაწესებულებამ პრიორიტეტი მიანიჭა, რადგან ისინი აუცილებელია პირველი და მეორე სემესტრების განმავლობაში გასავლელი სასწავლო

კურსებისთვის. მისი თქმით, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ყველა რესურსი იმ დროისთვის უკვე შეძენილი იყო და ჩამოტანილი; მათი ნაწილი ოთახებში იყო განთავსებული, ნაწილი კი შენახული. ასევე, ანატომიისთვის განკუთვნილი ორი ოთახიც უკვე მოწყობილი იყო. აღნიშნული რესურსები თებერვლისთვის უკვე შეძენილი და ჩამოტანილი იყო, ხოლო მაისი-ივნისის პერიოდში ჩამოვიდა მიკროსკოპები, რომლებიც იანვარში იყო შეძენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პერსონალთან დაკავშირებითაც სრული მზაობა არსებობდა. დაგეგმილი იყო ცალკეული ტრენინგები და შეხვედრები, შესაბამისად, პერსონალი ინფორმირებული იყო იმ დატვირთვისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც მათ დაწესებულებაში ექნებოდათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიძემ განმარტა, რომ პერსონალთან დაკავშირებით გარკვეული გაურკვევლობა იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ერთ-ერთ კლინიკაში სასწავლო პროცესში თითქმის მთელი პერსონალი მონაწილეობს, თუმცა დაწესებულებისთვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში აღმოჩნდა ერთი პირი, რომელიც სასწავლო პროცესში არ მონაწილეობდა. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა გაურკვევლობა.
საბჭოს წევრი მაია ბარბაქაძე დაინტერესდა, ვისთვის არის პროგრამა განკუთვნილი და სამიზნე აუდიტორიას ძირითადად ქართველი სტუდენტები წარმოადგენენ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც.

დაწესებულების რექტორმა კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ პროგრამა გათვლილია როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებზე.
საბჭოს წევრმა თეა ნარეკლიშვილმა აღნიშნა, რომ კურიკულუმში ფაქტობრივად არ იკვეთება ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტებში ცოდნის გაცნობიერებას, გაღრმავებასა და განმტკიცებას უზრუნველყოფს. მას აინტერესებდა, რატომ არ იყო აღნიშნული საკითხი კურიკულუმში ასახული.
დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ კურიკულუმის ფორმაში აღნიშნული ინფორმაცია პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა არსებობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ცალკე დოკუმენტის სახით არის წარმოდგენილი. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სწავლის შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორები და სხვა შესაბამისი საკითხები. მისი თქმით, პროცესი სრულად ელექტრონულია, რაც საშუალებას იძლევა, მარტივად დადგინდეს, რომელ შედეგზე ვერ გავიდა სტუდენტი და განისაზღვროს ამის მიზეზი.
საბჭოს წევრმა თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 73 აკადემიური თანამდებობაა, თუმცა მათგან 26 აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს. მას აინტერესებდა, პერსონალი ყველა შემთხვევაში აკადემიური კვალიფიკაციის საფუძველზე იყო აყვანილი თუ პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირებიც იყვნენ ჩართული. ამასთან, მან აღნიშნა, რომ კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმები შაბლონური სახით იყო წარმოდგენილი და ნაკლებად იკვეთებოდა, კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსების ფარგლებში განხორციელდებოდა პრაქტიკული სწავლება თითოეულ დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ შაბლონურად ერთი ტიპის ხელშეკრულებები ფორმდება, თუმცა კონკრეტულ კლინიკებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებები თითოეული სემესტრისთვის ფორმდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ტექსტი მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზეა შემუშავებული. შემდგომ, დანართის სახით, დეტალურად არის გაწერილი შესაბამისი სასწავლო კურსები და ფორმდება დამატებითი ხელშეკრულებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია როგორც

პროფესიული, ისე აკადემიური კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა განმარტა, რომ პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პერსონალის რაოდენობა ხუთს არ აღემატება, ხოლო დანარჩენი პერსონალი აკადემიური კვალიფიკაციის საფუძველზეა აყვანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ასისტენტი აკადემიურ თანამდებობაზე არ ჰყავს, თუმცა მოწვეულ პერსონალს პირადი ასისტენტი ეყოლება.
საბჭოს წევრმა ლევან ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ გაუგებარია, რატომ შეექმნა დაწესებულებას პრობლემები მეოთხე სტანდარტთან მიმართებით მაშინ, როდესაც დაწესებულებაში სხვა სამედიცინო პროგრამები აქტიურად ხორციელდება. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა სასწავლო კურსზე „პაციენტის უსაფრთხოება", რომელიც არჩევით სასწავლო კურსად არის განსაზღვრული. მას აინტერესებდა, რატომ არის აღნიშნული კურსი არჩევითი, ასევე, როგორ განხორციელდება კურსით გათვალისწინებული 13 ლექციისა და 13 პრაქტიკული მეცადინეობის ონლაინ ფორმატში.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ოქრუაშვილმა განმარტა, რომ „პაციენტის უსაფრთხოების" ცალკე სასწავლო კურსად არჩევითად ჩამოყალიბება განპირობებულია იმით, რომ სტუდენტებს, რომლებსაც ეს მიმართულება განსაკუთრებით აინტერესებთ, შესაძლებლობა ექნებათ, საკითხი უფრო დეტალურად შეისწავლონ. ამასთან, პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები სხვა სასწავლო კურსებშიც არის ინტეგრირებული. მისი თქმით, კურსს ესტონელი ლექტორი გაუძღვება, რომელიც ადგილზე ჩამოვა და სწავლებას განახორციელებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ 2.2 ქვესტანდარტში მითითებულია, რომ ადგილზე გამოვლინდა შეუსაბამობა პროგრამის დეკლარირებულ დიზაინსა და მის განხორციელებას შორის. ამავე ნარატივში აღნიშნულია, რომ შეუსაბამობები გამოვლინდა სილაბუსებსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის. მისი თქმით, თუ აღნიშნული შეუსაბამობები გამოვლინდა, გაურკვეველია, საბოლოო შეფასება რატომ არის „მეტწილად შესაბამისი".

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ კითხვა დასვა გაცემულ რჩევებთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, თუ კონკრეტული საკითხი რჩევის სახით არის წარმოდგენილი, გაუგებარია, რატომ არის ტექსტში გამოყენებული ფორმულირება - „რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ...". შესაბამისად, დაინტერესდა, აღნიშნული ჩანაწერები რჩევებს წარმოადგენს თუ რეკომენდაციებს.
ექსპერტმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ რჩევაში რეკომენდაციის ფორმულირება ნამდვილად არ უნდა იყოს გამოყენებული, თუმცა, საერთო ჯამში, პროგრამა სტანდარტებთან მეტწილ შესაბამისობაშია. მისი თქმით, პროგრამა გამართული და საინტერესოა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ივანა კარევმა აღნიშნა, რომ პროგრამა სტანდარტებთან შესაბამისობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სტუდენტებს მიეწოდოთ პროგრამით გათვალისწინებული საჭირო ცოდნა და განუვითარდეთ შესაბამისი უნარები. რაც შეეხება რჩევებს, მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფს გაცილებით მეტი რეკომენდაციის გაცემის საჭიროება ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ გამოიკვეთა და გაიცა ის რეკომენდაციები, რომლებიც, ჯგუფის შეფასებით, ყველაზე კრიტიკული იყო.
ექსპერტმა ნატო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია და რჩევა სათანადოდ იქნა გათვალისწინებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:03
დასრულების დრო: 13:31

საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ აკრედიტაციის საბჭოს, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაზე, ექსპერტებისგან განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. კერძოდ, 2.2 და 4.2 კომპონენტები, საბჭოს მოსაზრებით, ფასდება, როგორც არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხის განხილვა გადადებულიყო 2026 წლის 21 აგვისტოს, რათა მიეღოთ ექსპერტებისაგან დამატებითი მოსაზრებები. ექსპერტებმა წერილობით უნდა წარმოადგინონ არგუმენტაცია, თუ რის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ აღნიშნული კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს სხდომა დატოვა ვაჟა კელიხაშვილმა.

მესამე საკითხი: სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლებისენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი ხის მხატვრულ დამუშავებაში;
დეტალური სფეროს კოდი: 0214 გამოყენებითი ხელოვნება/(ხელნაკეთობა);
კრედიტების რაოდენობა: 180.

მეოთხე საკითხი: სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავება;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

პირველი ნაწილი - 60 ECTS კრედიტი - ხის მხატვრული დამუშავების მაგისტრი;
მეორე ნაწილი - 60 ECTS კრედიტი - კვლევის მაგისტრი ხის მხატვრულ დამუშავებაში.

დეტალური სფეროს კოდი: 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა);
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა თეა ნარეკლიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა ლეილა გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თითქმის ყველა რეკომენდაცია შესრულებული ჰქონდა დაწესებულებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პერსონალის მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები. ექსპერტების მხრიდან გაიცა მხოლოდ ორი რჩევა. პირველი ეხებოდა მაგისტრატურის პროგრამას და გულისხმობდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას. აღინიშნა, რომ აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტი ახორციელებდა სისტემურ მუშაობას, რაც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოყვანილი არაერთი მაგალითითაც დასტურდებოდა. ასევე, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა აღნიშნულ პროცესებში ჩართულობა. მეორე რჩევა ეხებოდა საბაკალავრო პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიდი შრომა გაწიეს ექსპერტებმა და მათი რჩევები გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:51
დასრულების დრო: 13:55

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233

ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ავეჯის პროექტირება და ხის მხატვრული დამუშავების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს წარმოება.
საბჭოს სხდომას შემოუერთდა ვაჟა კელიხაშვილი

მეხუთე საკითხი: სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ("ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" შესაბამისობის დადგენის პროცესი).

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიოსამედიცინო ინჟინერია;
საფეხური: დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიოსამედიცინო ინჟინერიის დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არაკლასიფიცირებული 0719;
კრედიტების რაოდენობა: 50;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ლევან ციქიშვილმა, მაია ბარბაქაძემ, ნინო ხოლუაშვილმა, ავთანდილ თავხელიძემ, თეა ნარეკლიშვილმა, ვალერიან გობრონიძემ, შალვა კელეპტრიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მ ე ხ უ თ ე ს ა კ ი თ ხ ი ს ზ ე პ ი რ ი მ ო ს მ ე ნ ა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ განხორციელდა პროგრამის შეფასება. საბჭოს მიერ გაცემული ხუთივე რეკომენდაცია შეფასდა და დადგინდა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციები შეასრულა. თუმცა, ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხი კვლავ ძალაში რჩება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია ლიტერატურის განახლების ჩათვლით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს კითხვები არ ჰქონდა

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:06
დასრულების დრო: 14:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

საბჭოს სხდომა დატოვა ვაჟა კელიხაშვილმა და მარინე რუხაძემ.

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამოქალაქო ინჟინერია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0732 სამშენებლო და სამოქალაქო ინჟინერია;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სხდომაზე საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია დაწესებულებამ შეასრულა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:29
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამოქალაქო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის პროცესი);

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამოყენებითი ფსიქოლოგია;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის მაგისტრი, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0313 ფსიქოლოგია;
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფი სხდომას არ დასწრებია და საბჭოს მათ გარეშე განიხილა საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა ბურდულმა აღნიშნა, რომ ერთი რეკომენდაცია იყო გაცემული, რომელიც პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას გულისხმობდა. აღნიშნული კომპონენტი უნივერსიტეტში ინტეგრირებული იყო ან არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კომპონენტის სახით იყო შეთავაზებული. რეკომენდაცია გათვალისწინებულია - ყველა კონცენტრაციაში დამატებულია პრაქტიკული კომპონენტი და, შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია სრულად შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:29

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „გამოყენებითი ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

მერვე საკითხი: სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:ტურიზმი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში;
დეტალური სფეროს კოდი: მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება - 1015;
კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ეკა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ეხებოდა სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმებს, ასევე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს და, მე-4 სტანდარტის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის შესახებ CV-ების ინფორმაციულ მოწესრიგებას. აღნიშნული მიმართულებებით ინსტიტუციამ ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგა და, წარმოდგენილ ეტაპზე, შესაბამისი საკითხები სრულად მოწესრიგებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამაზე "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 14:40 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე